ეთნოლოგია

მაგისტრატურა

1. თეორიული ეთნოლოგია

Theoretical Ethnology

სასწავლო კურსი ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ეთნოლოგიური მეცნიერების თეორიულ პრობლემებს. სასწავლო კურსში ძირითადი ყურადღება დაეთმობა ეთნოლოგიური მეცნიერების იმ მონაკვეთების შესწავლას, რომლებიც ეხება ეთნოსთა შორის ფუნქციონირების მექანიზმებს, მათი ბუნებრივ და სოციოკულტურულ გარემოსთან თვითორგანიზაციისა და ადაპტაციის პროცესების ახსნას. სასწავლო კურსი შეიცავს ძირითადი ეთნოლოგიური კონცეფციების ვრცელ მიმოხილვას, აგრეთვე კონცეფციებს, რომლებიც გამომუშავებულია სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიაში.

2. სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია

Social and Cultural Anthropology

კურსის გულისმობს სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის თეორიული საფუძვლების, საგნის, მეთოდებისა და პრობლემების სწავლებას. სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დარგების არსებობა ანთროპოლოგიური დისციპლინის განვითარების ევროპული და ამერიკული ტრადიციის განსხვავებულობის შედეგია. წარმოდგენილი კურსი დიდძალი ემპირიული და თეორიული მასალიდან უმნიშვნელოვანესის გამორჩევით აღჭურვავს სტუდენტებს დისციპლინის ისტორიის, საგნისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციით, გააცნობს დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლებსა და მათ ძირითად სამეცნიერო მიღწევებს.

3. ეთნოლოგიური კვლევის მეთოდები

Field Ethnology Reslach Methods

სასწავლო კურსის სტუდენტებს აცნობს ეთნოლოგიური კვლევის აპრობირებულ ემპირიულ და თეორიულ, ინტერდისციპლინარულ და ვიწრო დარგობრივ მეთოდებს და ამ მეთოდებით ოპერირების მიზანშეწონილობას დასახული მიზნის მისაღწევად. თანამედროვე პირობებში აქტუალურია ინტერეთნიკური დიალოგის წარმართვა, რაც მხოლოდ ეთნოკულტურული სამყაროს ღრმა ცოდნის პირობებშია შესაძლებელი.

4. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურა

Material Culture of Georgian people

სასწავლო კურსი მაგისტრანტებს დაწვრილებით აცნობს ქართველთა მატერიალური კულტურის განვითარების ისტორიას, მისი ელემენტების მნიშვნელობას ეთნიკური იდენტურობის განსაზღვრაში, საერთო ქართული კულტურული ერთობის ვარიანტულობასა და მისი მიზეზებს.

5. ქართველი ხალხის ტრადიციული სამეურნეო ყოფა

Traditional Economical Being of Georgian People

სასწავლო კურსი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის გაღრმავებულად შესწავლას ითვალისწინებს. ამ კურსის შესწავლა თანამედროვეობასთანაც არის დაკავშირებული, რადგან თავის დროზე საბჭოთა ეპოქაში ბევრ სამეურნეო ტრადიციაზე დაუსაბუთებლად ითქვა უარი. ქართული ტრადიციების გაცოცხლება მეურნეობის სფეროში ხელს შეუწყობს თანამედროვე სამეურნეო ვითარების გაუმჯობესებას, რაც ქართველთა განსახლების არეალის ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებით იყო განპირობებული.

6. დასახელება: ქართული ტრადიციული სულიერი კულტურა.

Tradicional Spiritual Culture of Georgian People

კურსი ქართული ტრადიციული სულიერი კულტურის შესწავლას ითვალისწინებს. ტრადიციული სულიერი კულტურა მოიცავს რელიგიური სიტუაციის, რელიგიური და ზნეობრივი ნორმების, ისტორიული მახსოვრობის, დღესასწაულების, მენტალობის, ხალხური შემოქმედების, საერთოდ, ტრადიციული ცხოვრების წესის მრავალ ელემენტს. სულიერი კულტურა ვითარდება ისტორიული განვითარების პარალელურად, შესაბამისად, მასში ვლინდება ნოვაციები და ჩნდება ახალი ტრადიციები.

7. ქართველთა ტრადიციული სოციალური ურთიერთობები

Tradicional Social Relations of Georgian People

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლებიან ქართული ტრადიციული სოცილური ურთიერთობებისა და კულტურის ძირითად სფეროებს, გაეცნობიან ამ საკითხების შესახებ არსებულ წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურას, რათა მიღებული ცოდნა აქტიურად გამოიყენონ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში. ისწავლება ქორწინების, საოჯახო ყოფის, ნათესაური სისტემის, სამეზობლო ურთიერთობის, ურთიერთდახმარებისა და სხვა საკითხებ.

8. კავკასიის ხალხთა ეთნიკური ისტორია.
Ethnical History of the Caucasians

კურსის შესწავლა მაგისტრანტებს გაუღრმავებს ცოდნას კავკასიელ ხალხთა ეთნიკურ საკითხებში და თანამედროვეობასთანაც პარალელის გავლების საშუალებას მისცემს,

რადგან დღესაც საყურადღებო ეთნოისტორიულ პროცესებთან გვაქვს საქმე. სტუდენტები შეისწავლიან, რა სახის ცვლილება გამოიწვიეს კავკასიაში მომთაბარე ირანულენოვანმა სკვითებმა, სარმატებმა და ალანებმა, თურქულენოვანმა ჰუნებმა, მონღოლებმა, რუსეთის იმპერიამ, საბჭოთა იმპერიამ. გაეცნობიან გამქრალ ეთნოსებს, მათი და თანამედროვე კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზსა და ეთნიკურ ისტორიას, კერძოდ, რა ეთნიკური კომპონენტებისაგანაა შექმნილი ორმოცდაათამდე კავკასიური ეთნოსი, რომელიც აქ მკვიდრობს, როგორი ურთიერთობები ჰქონდათ ამ ეთნოსებს.

9. ვიზუალური და გამოყენებითი ეთნოლოგია

Introduction to Visual and Applied Ethnology

სალექციო კურსში განხილული იქნება ვიზუალური ანთროპოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია. ამ სფეროში დაგროვილი მეთოდოლოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და თეორიული საკითხები; ვიზუალური ანთროპოლოგიის ქვედარგები, ეთნოგრაფიული კინოს სამეცნიერო სკოლები. კონტაქტური ანთროპოლოგიისა და "ბიოდოკუმენტური" კინოს არსი და პრობლემები, კულტურის დოკუმენტაციის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, თანამედროვე ვითარება ვიზუალურ ანთროპოლოგიაში, მათ შორის საქართველოში.

10. თბილისის მოსახლეობის ტრადიციული ყოფა და კულტურა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში.

Traditional Being and Culture of Tbilisi in the 19th Century.

სასწავლო კურსი ითვალისწინებს ქ. თბილისის მოსახლეობის ტრადიციული ყოფისა და კულტურის თავისებურებათა სწავლებას XIX სკ-ის მე-2 და XX სკ-ის I ნახევრის მაგალითზე, რაც შემთხვევით არის შერჩეული, რადგან თბილისმა, როგორც საქართველოს დედაქალაქმა, თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განსაკუთრებულ აღმავლობას ზემოთ აღნიშნულ პერიოდში, კერძოდ, XIX საუკუნეში, კაპიტალიზმის განვითარების ხანაში მიაღწია.

11. ეთნოგრაფიული მუზეუმთმცოდნეობა

Ethnographic Museum Studies

სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია ეთნოგრაფიული მუზეუმთმცოდნეობის//სამუზეუმო საქმის შესწავლა. სამუზეუმო საქმის ცოდნა გულისხმობს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მუზეუმთმცოდნეობის საფუძვლების შესწავლას. შესაბამისად, თეორიულ ცოდნასთან ერთად, მაგისტრები სასწავლო პრაქტიკას გაივლიან საქართველოს მუზეუმებში. ძირითადი სასწავლო ბაზა იქნება საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. გ. ჩიტაიას ეთნოგრაფიული მუზეუმი. ამ მუზეუმის ექსპოზიციებისა და კოლექციების შესწავლა იქნება ის პრაქტიკული ცოდნა,

რომელიც, შესაბამის თეორიულ მომზადებასთან ერთად, სტუდენტს ჩამოუყალიბებს ეთნოგრაფიული მუზეუმთმცოდნეობის საფუძვლების ცოდნას.

12. ქორწინება და ოჯახი შუა საუკუნეების ევროპასა და საქართველოში.

Marriage and Family in the Middle Ages in Europe and Georgia

სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია, რომ მაგისტრანტებმა შეასწავლონ ოჯახის ისტორია დასავლეთის საისტორიო მეცნიერებასა და სოციალური ანთროპოლოგიური კვლევების საფუძველზე. სალექციო კურსში ყურადღება გამახვილდება შემდეგ საკითხებზე: როგორი იყო ოჯახის აღქმა შუა საუკუნეებში, ოჯახის ფუნქციები, ნათესაური სისტემის ტიპები, ოჯახის სიდიდე და სტრუქტურა, ოჯახის ეკონომიკური საფუძვლები, ქორწინება, შიდა ოჯახური ურთიერთობები, დამოკიდებულება მოხუცებისადმი.

13. ქართული ხალხური დღესასწაულები

Georgian Traditional Festivals

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ქართული ხალხური დღესასწაულების, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, რელიგიური სიტუაციის, სოციალური ნორმების საკითხებს. სალექციო კურსის განმავლობაში გაანალიზდება დღესასწაულების გენეზისი და საველე-ეთნოგრაფიული პრაქტიკის დახმარებით გამოვლინდება ამა თუ იმ დღესასწაულის აღნიშვნის თანამედროვე სურათი.

14. ქართული ჩვეულებითი სამართალი

Georgians Customary law (Juridical Anthropology)

ამ სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ეთნოსის ეთნიკურ სოციალურ ნორმებს ისტორიული განვითარების დინამიკაში. წარმოაჩენილია სპეციფიკური ეთნიკური სამართლებრივი ნორმები და ზოგადი მახასიათებლები. ჩვულებითი სამართალი მნიშვნელოვანი წყაროა ქართული სამართლებრივი კულტურის შესწავლისათვის, რადგანაც მრავალი სამართლებრივი ნორმა, ასახული შუასაუკუნეების ქართულ კანონმდებლობაში, სწორედ ადათობრივი სამართლიდანაა აღებული; ხოლო ჩვეულებით სამართალში დღემდე მოქმედი წეს-ჩვეულებების უდიდესი ნაწილი, ასევე, ოფიციალური კანონებიდან არის ყოფაში გადმოტანილი.

15. ქართული ეთნოლოგიის ისტორია

History of Georgian Ethnology

ქართული ეთნოლოგიის კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან საქართველოში ამ მეცნიერების ისტორიას, რომელსაც საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. კურსის შესწავლა ხელს შეუწყობს მომავალი მეცნიერული კვლევა-ძიების განვითარებას;

დაანახებს მომავალ მკვლევარს, განვითარების რა რთული გზა განვლო ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ.

16. ფიზიკური (ბიოლოგიური) ანთროპოლოგია

Physical (biological) Anthropology

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ანთროპოლოგიის კურსის საფუძვლებს, ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბების თავისებურებას. შეისწავლიან ეთნოგენეტიკური კავშირების კვლევისას დარგის ფართო მონაცემთა გამოყენებას, რაც მისცემს საშუალებას სტუდენტებს, შეძლონ ანთროპოლოგიური კვლევის შედეგები გამოიყენონ კავკასიისაა და, ზოგადად, ხალხთა ეთნოგენეზის კვლევებში.

17. საწესჩვეულებო პოეზია და რიტუალი

Georgian Ritual-poetry and Rituals

სასწავლო კურსი სტუდენტებს აცნობს ქართული ხალხური საწესჩვეულებო პოეზიას და მასთან დაკავშირებულ რიტუალებს, მათი ტიპოლოგიური მსგავსების საფუძველსა და ეთნიკურ თავისებურებებს. სტუდენტები ეუფლებიან კვლევის შედარებით-ისტორიულ მეთოდოლოგიას. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან პოეტური ტექსტისა და ქმედების სტრუქტურასა და სემანტიკას.

18. აფხაზთა და ოსთა ტრადიციული კულტურა

Tradicional Culture of Abkhazians and Ossetians

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები აფხაზებისა და ოსების ტრადიციული კულტურისა და ყოფის მრავალფეროვან საკითხებს გაეცნობიან. ტრადიციული სამეურნეო, მატერიალური კულტურისა და სოციალური ურთიერთობების, წეს-ჩვეულებების თავისებურებათა შესწავლა, საქართველოს ქართველი და არაქართველი ეთნოსოციალური ჯგუფების თავისებურებათა წარმოჩენას შეუწყობს ხელს, რომელიც ქართულ-კავკასიურ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობას ემსახურება.

19. რელიგია, საზოგადოება და იდენტურობა ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში

Religion, Society and Identity in Historical and Modern Georgia

მაგისტრანტები შეიძენენ ცოდნას საქართველოში ისტორიულად და დღეს არსებული რწმენა-წარმოდგენების სისტემების ჩასახვა-განვითარების შესახებ; ასევე მათი კავშირისა და გავლენის შესახებ იდენტობის ფორმირების პროცესში და, შესაბამისად, საზოგადოების კონსტრუქციაზე.

20. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები/ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფები.

Historical-ethnographical Parts of Georgia

სასწავლო კურსი მაგისტრანტებს მისცემს ცოდნას იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების შესახებ, რომლებიც დღეს საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არიან. მაგისტრანტთათვის ამ კურსის შესწავლას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რათა არსებული ცოდნა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების შემდეგ სხვასაც გადასცენ.

21. საველე ეთნოლოგიური პრაქტიკა

Field Ppractice

სტუდენტები ეუფლებიან კვლევის ეთნოლოგიური მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებას და განივითარებენ საველე უნარ-ჩვევებს.